შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა, №6, სართული 3, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-616/07/26-I616/2

გაცემის თარიღი: “ 03 ” 09 2026 წელი

ინსპექტირების თარიღი: 23.07÷03.09.2026 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი, აეროპორტი (ს.კ. 01.19.26.009.048) ფოსტის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

გამტკიცებ,

დირექტორი _____ ა. შიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „Georgianhouse" ს/ნ 404931945 დირექტორი: თორნიკე დვალი
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №616/07/26-I616 (23.07.2026 წ) ხელშეკრულება №C-616/07/26-I616 (23.07.2026 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისი, აეროპორტი (ს.კ. 01.19.26.009.048) ფოსტის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

თბილისი

2026 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი და შენიშვნები 4
5. დასკვნა 10

გაფრთხილება

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოთ მიუკერძოებლობლად. ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

წარმოდგენილი მასალები

1. კონსტრუქციული პროექტი. (ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში).
2. არქიტექტურული პროექტი. (ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში).
3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედგები. (ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში);
4. შენობის მზიდი კონსტრუქციების ანგარიში შედეგები სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებაზე. (ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში).

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - შენობა-ნაგებობების ფუძეები (დანართი 4)
   - სამშენებლო კლიმატოლოგია (დანართი5);
2. სამშენებლო ნორმები და წესები, СП 16.13330.2017 – ფოლადის კონსტრუქციები;
3. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП 2.03.11-85 – სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან;
4. MEP-TP-G06.1 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია: ქ. თბილისი, აეროპორტი (ს.კ. 01.19.26.009.048) ფოსტის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

პროექტი შედგენილია: შპს "Georgianhouse" ის მიერ (კონსტრუქტორი: ი. კაკალია; გ. ხვიჩია).

პროექტში მოცემულია ფოსტის შენობის კონსტრუქციული ნაწილი, შესაბამისი გეგმა-ჭრილებით, კვანძებით და კონსტრუქციული გადაწყვეტებით.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული გეომეტრიული ფორმის, მაქსიმალური ღერძული გაბარიტული ზომებით 34.20X38.20მ. შენობის გეგმის "T-K"/"1-7" ღერძებში განთავსებული ნაწილი ორ სართულიანია, ხოლო "T-A"/"2-9" ზონაში კი ერთსართულიანი, ასევე შენობის "2" და "8" ღერძების მიმდებარედ " -თ" ღერძებში მოწყობილია ერთმალიანი ფოლადის ჩარჩოვანი კონსტრუქციები.

შენობა კონსტრუქციული გადაწყვეტით მონოლითური რკინაბეტონის კარკასული ტიპისაა, რომლიც მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ელემენტების ხისტკავშირებიანი სისტემა.

შენობის საძირკვლები კომბინირებული ტიპისაა, კერძოდ შენობის ძირითად ზონაში მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი ტიპის საძირკვლები, რომლებიც 0.00 ნიშნულზე ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან მონოლითური რკინაბეტონის რანდკოჭებით, ხოლო გეგმის "1-2"/"T-I" ღერძებში საძირკველს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილა.

სართულშუა გადახურვას, წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელები) ფილა.

სართულებს შორის კავშირი ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის კიბის და მონოლითურ რკინაბეტონის კედლებით გარემოცული ლიფტის შახტით.

შენობის მალის მაქსიმალური სიგრძე არის 8.00მ. გეგმის "T-K"/"1-7" ღერძებში პირველი და მეორე სართულების სიმაღლე არის 3.30მ, ხოლო გეგმის "T-A"/"2-9" ღერძებში კი სართულის სიმაღლე არის 5.10მ.

კარკასის შევსება განხორციელებულია წვრილი სამშენებლო ბლოკის წყობით.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით შენობების დაფუძნება განხორციელებულია ძირითად გრუნტზე. მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობის თიხნარი გრუნტი, ერთგვაროვანი, ნოტიო, მყარი კონსისტენციის, იშვიათი კენჭის ჩანართით, უწყლო. პირობითი საანგარიშო წინაღობით $R_0=2.80$ კგძ/სმ^2.

სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმურობის სამიშროების ზონაში.

საპროექტო შენობის მზიდი კონსტრუქციების სტატიკური და დინამიკური ზემოქმედების გაანგარიშება ჩატარებულია საანგარიშო კომპლექსის "ЛИРА-САПР-2025 R2.3"-ის გამოყენებით (ლიც №50196).

შენობის ჩონჩხედის (კარკასის) კონსტრუქციული სქემიდან გამომდინარე, გაანგარიშებულია ჰორიზონტალური (X,Y) სეისმურ ზემოქმედება.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი ნორმის პნ 01.01-09, თანახმად, საანგარიშო სტატიკური დატვირთვები მრავლდება შემდეგ თანწყობის კოეფიციენტებზე (პუნქტი 4,1):

სეისმური ზემომედების საწყისი მონაცმები, თანახმად პნ 01.01-09.

გრუნტის კატეგორია II, ცხრილი 1;

გრუნტის აჩქარება A=0.17g დანართი 1;

ცხრილი 4.1, II კატეგორია, 8 ბალი. K0=1.0;

ცხრილი 3, რკინაბეტონის კარკასი. K1=0.35;

ცხრილი 4, პოზიცია 8. K2=1.4;

ცხრილი 5, პოზიცია 1. K3=1.0;

ცხრილი 6, პოზიცია 3. Kψ=1.0;

პროექტში წარმოდგენილი შენობების მზიდი კონსტრუქციული ელემენტებია:

- წერტილოვანი საძირკვლები – axbxh=2000X2000X500მმ; 1600X1600X500მმ; 1600X3800X500მმ; 1200X1200X500მმ;
- საძირკვლის ფილა – h=500მმ;
- თანაორმის ფილა – h=300მმ;
- რანდკოჭი – bxh=400X500მმ;
- კედლები და დიაფრაგმები – b=200მმ;
- სვეტები – axb=400X400მმ;
- რიგელები – bxh=400X500მმ; 400X400მმ;
- გადახურვის ფილა – h=160მმ; 250მმ;
- ფოლადის დგარები – მილკვადრატი 200X200X6მმ;
- ფოლადის კოჭები – IPE270; IPE 240; UPE160;

პროექტში გამოყენებულია: ბეტონი B25; B25W10 კლასის, არმატურა B500B; B240B კლასის. ლითონის ფურცლოვანი და პროფილირებული ელემენტები.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ გაცემული იქნა ინსპექტირების ანგარიში № FT-616/07/26-I616/1 შემდეგი შენიშვნებით:

წარმოდგენილი პროგრამული მოდელის გაანგარიშების მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. წარმოსადგენია გრუნტის მოდელის გაანგარიშების ფაილი.
2. გრუნტის მოდელის გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული C2 კოეფიციენტის შედეგები.



3. ფოლადის ელემენტებში სიხისტეების მინიჭებისას, სვეტების საანგარიშო სიგრძედ გათვალისწინებულია "0", რაც საჭიროებს დაკორექტირებას.



4. ფოლადის ელემენტებში სიხისტეების მინიჭებისას, კოჭებში საანგარიშო სიგრძის კოეფიციენტებად გათვალისწინებულია "0", რაც საჭიროებს დაკორექტირებას. ასევე კოჭის მაქსიმალური ჩაღუნვის ზღვარი მინიჭებული არის l/400, რაც უნდა დაკორექტირდეს და უნდა იყოს l/250.



5. სეისმური მასების ფაქტორის მაქსიმალური პროცენტულობა შეადგენს 73.6%, რაც ნაკლებია 90%-ზე. მოსამატებელია საკუთარი რხევის ფორმის მნიშვნელობა ან %-ის ველში უნდა ჩაიწეროს 90.



წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის (პროექტის კონსტრუქციული ნაწილი) მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

ზოგადი

- არ არის წარმოდგენილი ქვაბულის გეგმა.

1. **ფურცელი – "001"**
   - გაურკვეველია განმარტებით ბარათში მითითებული შენობის სართულიანობის შესაბამისობა წარმოდგენილი პროექტთან.
   - მასალის კრებსით ხარჯში მოცემული არმატურის კლასი არ შეესაბამება პროექტს.
   - განმარტებით ბარათში არ არის მოცემული 200მმ სისქის ბალასტის ფენის შრეობრივი ტკეპნის სისქეები და არ არის მითითებული ბალასტის ტკეპნის კოეფიციენტი (მიღებულ არანაკლებ 96%-98%).
   - ჯამური ხარჯი არასრულია.

2. **ფურცელი – "002"**
   - გეგმაზე არ არის მოცემული საპროექტო შენობის ირგვლივ მდებარე წითელი ხაზები (შენობის ღერძები სმიმართ მიბმით).
3. **ფურცელი – "003- - - 008"**
   - საძირკვლის ქვეშ არ არის მითითებული ბალასტის და ბეტონის მომამზადებელი ფენა.
   - წერტილოვანი საძირკვლების სპეციფიკაციაში გადაამოწმეთ 200მმ ბიჯით განლაგებული მუშა არმატურის და განივი (საკიდები) არმირების ღეროების რაოდენობა, ასევე ბეტონის მოცულობები.
   - მიუთითეთ ბალასტის ფენის მოწყობის, საძირკვლის კონტურიდან გადაცილების მანძილი.
   - გადაამოწმეთ სპეციფიკაციაში მოცემული 12 მმ დიამეტრის არმატურის გრძივი მეტრის წონა, რომელიც უნდა იყოს 0.888კგ.
4. **ფურცელი – "009"**
   - წარმოადგინეთ განმარტება რატომ არის წერტილოვანი საძირკვლებისთვის მოცემული ბეტონის წყალშეუღწევადობის მარკა W10, ხოლო ფილოვანი ტიპის საძირკვლისთვის W4.
5. **ფურცელი – "028"**
   - გაურკვეველია "7" ღერძის მიმდებარედ კონსოლური ფილის მოწყობა, კერძოდ: წარმოადგინეთ განმარტება რატომ არის "X" ღერძის მიმართულებით ქვედა ბადე-1-ის წვეტა "7" ღერძზე.
6. **ფურცელი – "032; 047"**
   - სამშენებლო აწევა წარმოადგინეთ სამშენებლო ნორმების მიხედვით (იხ. СНиП 2,03,01-84 ცხრილი 4).
7. **ფურცელი – "041"**
   - "ჩდ-3" დაიტანეთ შესაბამის ჭრილზე. გაურკვეველია მისი მდებარეობა.
8. **ფურცელი – "047"**
   - "K" ღერძის მიდებარედ კიბის მარცხენა მხარის დაბეტონებაზე მოსაწყობ საყრდენი, არქიტექტურული პროექტის მიხედვით.
9. **ფურცელი – "52"**
   - არ არის მოცემული პარაპეტის გულარების არმირება [illegible] და სპეციფიკაცია.

აღნიშნული შენიშვნები გაზიარებული იქნა პროექტის ავტორის მიერ, გაცემული იქნა პასუხები წერილობით და წარმოდგენილი იქნა კორექტირებული პროექტი.

ქ. თბილისი, აეროპორტი (ს.კ. 01.19.26.009.048) ფოსტის შენობის წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების გრაფიკული ნაწილი პროგრამულ-ანალიტიკური გაანგარიშება და გაკორექტირებული პროექტი, შესაბამისობაშია მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან.

კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია და ავტორის მიერ წერილობით გაცემული პასუხები თან ერთვის მოცემულ დასკვნას ელ. ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისი, აეროპორტი (ს.კ. 01.19.26.009.048), ფოსტის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც დაკორექტირდა ინსპექტორის შენიშვნების მიხედვით, შესაბამისობაშია მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

(იხ.კვლევითი ნაწილი)

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: Irakli Pirtskhalava 01013023562 Digitally signed by Irakli Pirtskhalava Date: 2026.09.03 14:16:11 /ი. ფირცხალავა /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი: Malkhaz Tsikarishvili 01020012181 Digitally signed by Malkhaz Tsikarishvili Date: 2026.09.03 14:17:27 /მ. წიქარიშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: Aleksandre Chipashvili 01020006249 Digitally signed by Aleksandre Chipashvili Date: 2026.09.03 14:13:55 /ა. ჭიპაშვილი/

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0350

ადასტურებს, რომ

შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის
მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, დიღმის მასივი,VI კვარტალი,მე-6 კორპუსის მიმდებარედ

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია: 2025 წლის 9 თებერვალი

ძალაშია: 2029 წლის 9 თებერვალი

გენერალური დირექტორი

67ა აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 2 19 22 23
gac@gac.gov.ge

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

14 / აგვისტო / 2026 წ.

KA990197218658126

№ **GAC-03/685**

შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს

გიგზავნით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის 2026 წლის 12 აგვისტოს №06/154 განკარგულებას და აკრედიტაციის სფეროს.

დანართი: აკრედიტაციის სფერო და განკარგულება.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

12 / აგვისტო / 2026 წ.

KA990129698596026

№ 06/154

განკარგულება
შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ ყოველწლიური შეფასების გავლისა და აკრედიტაციის შენარჩუნების, აგრეთვე აკრედიტაციის სფეროს აქტუალიზაციის თაობაზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის N01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების“ საკ 1.1:2020 „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მე-10 მუხლის მე-5 და მე-12 პუნქტების, მე-12 მუხლის მე-10 პუნქტისა და საკ 1.10:2020 „აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შშო-ების რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად,

1.შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანომ გაიარა ყოველწლიური შეფასება სსტ-ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე და შეუნარჩუნდა აკრედიტაცია.

2.განხორციელდეს ინსპექტირების ორგანო აკრედიტაციის სფეროს აქტუალიზაცია.

3.ინფორმაცია შეტანილ იქნას აკრედიტებული შშო-ების რეესტრში და გამოქვეყნდეს აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე www.gac.gov.ge;

4.ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი:

1.აკრედიტაციის კომიტეტის 2026 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება.
2.აკრედიტაციის ცენტრის ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი გვიმრაძის 2026 წლის 12 აგვისტოს **№ 672-01/GAC** მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0350
განკარგულება №06/19
თარიღი:28.01.2025 წ.

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება № 01/73
თარიღი: 10.06.2026 წ.

სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება № 06/154
თარიღი: 12.08.2026 წ.

შპს „მშენ-ექსპერტი +“

A - ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, 6 კორპუსის მიმდებარედ

№	ინსპექტირების ობიექტი [1]	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი [2]	მეთოდები და პროცედურები [3]
1	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი –მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. საქართველოს მთავრობის 2026 წლის პირველი ივნისის N 241 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების, გეგმური მოგებისა და სხვა დანარიცხების განსაზღვრის წესი“; 8. „CPP - სამშენებლო ფასების პორტალი“ – სამშენებლო რესურსების საშუალო საბაზრო ფასები. 9. MEP– TP-G01 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
2	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადექვატურობის ინსპექტირება.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: • დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან; • კონკრეტული მომწოდებლის რესურსებთან და შესაძლებლობებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV -82); 2. ერთიანი ნორმები და ფასები - (ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ);

			7. ტექნიკური რეგლამენტი -„სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკა“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბერი, დადგენილება №439) 8. საქართველოს მთავრობის 2026 წლის პირველი ივნისის N 241 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების, გეგმური მოგებისა და სხვა დანარიცხების განსაზღვრის წესი“; 9. „CPP - სამშენებლო ფასების პორტალი“ – სამშენებლო რესურსების საშუალო საბაზრო ფასები. 10. MEP – TP-G02 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
3	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N2-ის მიხედვით).	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისათვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან;	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი –მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. საქართველოს მთავრობის 2026 წლის პირველი ივნისის N 241 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების, გეგმური მოგებისა და სხვა დანარიცხების განსაზღვრის წესი“; 8. „CPP - სამშენებლო ფასების პორტალი“ – სამშენებლო რესურსების საშუალო საბაზრო ფასები. 9. MEP – TP-G03 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
4	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარული	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის

	გზების, აეროდრომების) შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება.	სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N732) 6. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 7. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“ 8. MEP – TP-G04.1; MEP – TP-G04.2; MEP – TP-G04.3; MEP – TP-G04.4; MEP – TP-G04.5 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
5	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით) • სუსტი დენების • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, • წყალმომარაგება-კანალიზაცია-წყალარინების სიტემების • გაზის ქსელებისა და სისტემების – სამუალო და დაბალი წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 0 კგ/სმ²-დან - 0.005 კგ/სმ²-ჩათვლით. – საშუალო წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 6. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 7. ტექნიკური რეგლამენტი “ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ” (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება) 8. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 9. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 10. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН)

	გაზსადენები, წნევით: 0,005 კგ/სმ²-დან - 3 კგ/სმ²-ჩათვლით. – მეორე კატეგორიის მაღალი წნევის მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 3 კგ/სმ²-დან - 6 კგ/სმ²-ჩათვლით. – პირველადი კატეგორიის მაღალი წნევის მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 6 კგ/სმ²-დან - 12 კგ/სმ²-ჩათვლით)		11. ისო/იეკ 11801-2017 12. MEP – TP-G04.6; MEP – TP-G04.7; MEP – TP-G04.8; MEP – TP-G04.9; MEP – TP-G04.10 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
6	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება-კანალიზაცია-წყალარინების სიტემების, სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის პროექტთან შესაბამისობის დადგენა.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველო ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N732. 2020 წლის 20 დეკემბერი) 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის

			დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №366, 2013 წლის 24 დეკემბერი); 11. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება N354 „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ 12. MEP – TP-G05.1; MEP – TP-G05.2; MEP – TP-G05.3; MEP – TP-G05.4; MEP – TP-G05.5; MEP – TP-G05.6; MEP – TP-G05.7; MEP – TP-G05.8; MEP – TP-G05.9 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
7	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. MEP – TP-G06.1 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
8	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექმიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N732) 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. MEP – TP-G06.2 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

9	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობის, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. MEP – TP-G06.3.1; MEP – TP-G06.3.2; MEP – TP-G06.3.3; MEP – TP-G06.3.4; MEP – TP-G06.3.5 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
10	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №366, 2013 წლის 24 დეკემბერი); 6. MEP – TP-G06.4 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
11	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН);

	დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ისო/იეკ 11801-2017 6. MEP – TP-G06.5 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
12	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	5. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 6. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 7. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 8. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 9. MEP – TP-G06.6 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
13	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. MEP – TP-G06.7 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
14	პროექტის საინჟინრო ქსელების: გაზმომარაგება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22

			იანვარი); 4. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი); 5. MEP – TP-G06.8 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
15	პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. MEP – TP-G06.9 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
16	პროექტის შრომის უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება N361) 3. ტექნიკური რეგლამენტი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება N477) 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 6. MEP – TP-G06.10 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა, №6, სართული 3, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-673/08/25-I673/1

გაცემის თარიღი: “ 22 ” 08 2025 წელი

ინსპექტირების თარიღი: 21.08.2025÷ 22.08.2025 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) (ს/კ 01.19.26.009.047) საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

ვამტკიცებ,

დირექტორი _____

ა. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „Georgianhouse" ს/ნ 404931945 დირექტორი: თორნიკე დვალი
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №-673/08/25-I673 (21.08.2025 წ) ხელშეკრულება №C-673/08/25-I673 (21.08.2025 წ)
ინსპექტირების სფერო:	საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) (ს/კ 01.19.26.009.047) საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

თბილისი

2025 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 8

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ნინა არეშიძე***

წარმოდგენილი მასალები

1. ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) (ს/კ 01.19.26.009.047) საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის შედეგები.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71):
   - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (დანართი №2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი №5);
2. СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის";
3. პნ 01.01.-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. სნ და წ. IV-5-82 მიწის სამუშაოები;
5. სნ და წ. 2.02.02-85 ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეები;
6. სნ და წ. 2.02.03-85 ხიმინჯოვანი საძირკვლები;
7. პნ 02.01-08 შენობების და ნაგებობების ფუძეები;
8. სნ და წ. 2.02.01-83 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობებისათვის;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება №257;
10. MEP-TP-G06.5 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპქტირებაზე წარმოდგენილია: ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) (ს/კ 01.19.26.009.047) საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის შედეგები.

წინამდებარე დასკვნა წარმოადგენს დამკვეთის – შპს „საქართველოს ფოსტა“ ს/კ №203836233; შემსრულებლის – ინდ. მეწარმე „ალექსანდრე ფეიქრიშვილი“ ს/კ № 31001007751, ტექნიკური დავალების და სინჟინრო – გეოლოგიური კვლევების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგს.საველე, კამერალური დამუშავება და ანგარიშის მომზადება განახორციელეს 2025 წლის აგვისტოში ინჟ. გეოლოგმა ო. ხიზანიშვილმა და სტაჟიორ გეოლოგმა რ. ფეიქრიშვილმა.

ტექნიკური დავალების მიხედვით საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების მიზანს წარმოადგენს საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დადგენა და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის შესწავლა. საშენებლო ნორმების და წესების (ს.ნ. და წ. 1.02.07.87 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მოთხოვნის შესაბამისად შესრულდა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

1. მოხდა საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა;

2. მოძიებული იქნა და დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა;

3. აქ გავრცელებული გრუნტების ლითოლოგიური ჭრილის და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით, თვითმავალი ექსკავატორის (JSB) საშულებით ამოღებული იქნა სამი შურფი საერთო სიღრმით 21გრძ.მ.

4. აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის ერთი. ქიმიურ კვლევაზე ერთი და დარღვევული სტრუქტურის სამი ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა სათანადო კვლევები;

5. გრუნტის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს „გეოინი“-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში ნ. ხმელიძის ხელმძღვანელობით. გრუნტის ქიმიური კვლევა ჩატარდა შპს „წყალი და გრუნტი“-ს ლაბორატორიაში მ. მარდაშოვას ხელმძღვანელობით. კენჭნარი გრუნტის გრანულომეტრია განისაზღვრა ჩვენს მიერ საცრული მეთოდით;

6. ჭაბურღილის მდებარეობა, ადგილობრივ ორიენტირებთან, დატანილია დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპოგეგმაზე, სადაც მოცემულია შურფების გაქვანის კოორდინატები.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) მიწის ნაკვეთის ს/კ № 01.19.26.009.047). სამშენებლო მოედნის მიახლოებითი ცენტრის

კორდინატებია: X=497378 და Y=4612922. აბსოლუტური სიმაღლე 474,4 – 478,8 მ-ის ფარგლებში მერყეობს. შემოსაზღვრულია დასავლეთიდან რკინიგზის ლიანდაგით და მისი მიმდებარე ასფალტსაფარიანი საავტომობილო გზით, დანარჩენი მხრიდან საკუთრებაში არსებული თავისუფალი ნაკვეთებით.

სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით (პნ 01.05.08) სამშენებლო უბანი შედის III–გ რაიონში, ზომიერად ცივი ზამთარით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12,4^{0}C. აბსოლუტური მინიმუმია -23^{0}C. აბსოლუტური მაქსიმუმით 40,0^{0}C. მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამი 540მმ. გრუნტის სეზონური ჩაყინვის სიღრმე ნებისმიერ გრუნტში 0-ის ტოლია.

საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიურად მოქცეულია თბილისის ქვაბულში, რომელსაც მდ. მტკვარი ყოფს ორ ნაწილად. მარჯვენა წარმოადგენს მაღალ და მთებით გარშემორტყმულს, ხოლო მარცხენა შედარებით დაბალი და გორაკ-ბორცვიანია, რომელიც მდინარის მხრიდან გარშემორტყმულია სხვაასხვა სიმაღლეზე გავრცელებული ტერასული საფეხურებით. ერთ-ერთ ასეთ ტერასაზე ე. წ. სამგორის ვაკეზე მდებარეობს საკვლევი ტერიტორია და რომელიც წარმოადგენს მდ. მტკვარის ჭალის ზედა IV ტერასას. ტერასის ზედაპირი სწორია სუსტად დახრილი (1–2^{0}). სამხრეთის მიმართულებით, რომელიც ამავე მიმართულებით თანდათანობით გადადის 40-45მ. სიმაღლის ტერასულ საფეხურში. ზედაპირი გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის თიხებით და თიხნარებით. ტერიტორია ნაწილობრივ ათვისებულია, ამიტომ რელიეფის ფორმები სახეუცვლევია, მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობების დროს გადმოტანილია და დაყრილია გროვებად სხვადასხვა სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტი. საკვლევ უბნზე და მის მიმდებერე ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესების გავრცელება, განვითარების კვალი არ ფიქსირდება.

ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია, ტექტონიკური თვალსაზრისით მოქცეულია აჭარა–თრიალეთის ნაოჭა სისტემის, ასპინძა–მანგლისის ქვეზონის აღმოსავლეთის დაძირვის ზონაში. ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღაბულობენ, დაწყებული ზედა ეოცენური ასაკიდან, დამთავრებული მეოთხეულით. სულ გამოიყოფა გეოლოგიური ოთხი ფორმაცია:

1.ტერიგენულ–ვულკანოგენური წარმოდგენილია ზედა ეოცენური ასაკის (Pg_2^3) ქვიშაქვების ალევროლიტების და გაფიქლებული თიხების მორიგეობითი წყებით;

2. ტერიგენული წარმოდგენილია ზედა მიოცენ– ოლიგოცენური ასაკის (N_1^1+Pg_3) ე. წ. „მაიკოპის წყების" თაბაშირიანი თიხებით, ქვიშაქვების შუა შრეებით;

3. ალუვიური ნალექები გავრცელებულია მდ. მტკვარის I-IV ტერასებზე და წარმოდგენილია კაჭარ–კენჭნარით, თიხნარით და კონგლომერატებით;

4. ფერდობული ფორმაცია გავრცელებულია თითქმის ყველგან, წარმოდგენილია თანამედროვე დელუვიურ–პროლუვიური ნალექებით, შლეიფების სახით.

სეისმური საშიშროების რუკის („სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ. 01. 01–09 დანართი 1–ის მიხედვით ქ. თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას, ხოლო უბნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, ამავე სტანდარტის ცხრილი №1–ის მიხედვით, განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურობად მიღებული იქნას 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A_0=0,17.

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით (ი, ბუაჩიძე 1970წ.) საკვლევი უბანი მოქცეულია თბილისის წყალდაწნევითი სისტემის ნაპრალოვან და ნაპრალოვან–კარსტული წყლების რაიონში და მოიცავს ზედა ეოცენური ასაკის ნალექებს, სადაც ცირკულირებენ ნაპრალოვანი ტიპის წყლები, რომლებიც ეროზიის ადგილობრივი ბაზისის ზემოთ უწნევოა, მის ქვემოთ კი წნევიანია და მიეკუთვნებიან თერმულ წყლებს. გრუნტის წყლები ფოროვანი ტიპისაა და ცირკულირებენ მეოთხეული ასაკის ალუვიურ და დელუვიურ–პროლუვიურ ნალექებში. ქვემოთ ვიძლევით საკვლევ უბანზე მის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული მიწისწვეშა წყლების წყალშემცველი ჰორიზონტების მოკლე დახასიათებას ცალკ–ცალკე: ზედა ეოცენური (Pg_2^3) ასაკის ნალექებში ცირკულირებენ ნაპრალოვანი ტიპის წყლები. წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ– სულფატურ–ნატრიუმ–კალციუმიანია, ან სულფატურ–კალციუმ–ნატრიუმიანია. საერთო მინერალიზაცია 0,3–4,3გ/ლ. დებიტი 0,01– 0,1ლ/წმ. ქვედა მიოცენ–ოლიგოცენის (N_1^1+Pg_3) ასაკის ნალექები (მაიკოპის წყება) ძირითადად წყალგაუმტარ ჰორიზონტს მიეკუთვნება, მასში წყლების ფორმირება უმნიშვნელოდ ხდება და ძირითადად დაკავშირებულია დანაპრალიანებული ქვშაქვების გავრცელების ზონებთან. თანამედროვე ასაკის ალუვიური (aQ_4) ნალექები გავრცელებულია მდ. მტკვარის ჭალის და ჭალის ზედა დაბალ ტერასებზე და გამოირჩევა გრუნტის წყლების ფართო გავრცელებით. მაღალი ტერასები უწყლოა მათი მაღალი დრენირების გამო. თანამედროვე ასაკის დელუვიურ–პროლუვიური (dpQ_4) ნალექებში გრუნტის წყლების ფორმირება ხდება, გამოფიტული ძირითადი ქანების გადალექილ ნაფენებში. გრუნტის წყლების კვება ხდება ატმოსფერული ნალექებით და სარწყავი არხებიდან გაჟონილი წყლებით. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლები სულფატურ–კალციუმ–ნატრიუმ–კალიუმიანია, საერთო მინერალიზაციით 1,5–3,5გ/ლ.

ინჟინერ გეოლოგმა დაადგინა საკვლევ უბანზე ზედაპირული და გაყვანილ შურფებში გრუნტის წყლის გამოსავლები არ დაფიქსირებულა

ასევე დაადგინეს საკვლევ უბნის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საშიში გეოდინამიური პროცესების ჩასახვა–განვითარების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და მშენებლობებისათვის მისაღებია

გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე (ს.ნ. და წ. 1.02.07.87 დანართი 10) სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. საშუალო სირთულე მინიჭებული აქვს ლითოლოგიურ ჭრილში ორზე მეტი ფენის გამოყოფის გამო. საველე ფონდური და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ფენა, რომელთა დახასიათება მოცემულია ქვემოთ:

ფენა №1 ტექნოგენური გრუნტი წარმოდგენილია სუსტად შემკვრივებული თიხნარის და მსხვილნატეხოვანი გრუნტის ნარევით. უწყლოა. ფენის სიმძლავრე 0,5-0,7მ;

ფენა №2 მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობის თიხნარი, ნოტიო, მყარი კონსისტენციით, იშვიათად კენჭის და ხრეშის ჩანართებით (1-5%–მდე). ფენის სიმძლავრე 3,3-4,0მ. უწყლოა.

ფენა № 3 კენჭნარი გრუნტი, წარმოდგენილია კარგად დამუშავებული კენჭით და ხრეშით, კაჭარის ჩანართებით და თიხნარის შემავსებლით მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობის თიხნარი, ნოტიო, მყარი კონსისტენციით, იშვიათად კენჭის და ხრეშის ჩანართებით (1-5%– მდე). ფენის სიმძლავრე 3,5-4,0მ. უწყლოა.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნაში მოცემულია თითოეული ფენის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები (იხილეთ გეოლოგიური დასკვნა).

საკვლევ უბანზე გამოკვლეულ სიღრმემდე გამოიყოფა ორი საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი სგე I – მყარი კონსისტენციის თიხნარი გრუნტი და სგე II – კენჭნარი გრუნტი თიხნარის შემავსებლით.

მოცემულია საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის აუცილებელი საანგარიშო მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ს.ნ. და წ. 2.02.01-83 და პნ 02.01-08, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე (იხილეთ გეოლოგიური დასკვნა).

ინჟინერ გეოლოგი იძლევა რეკომენდაციებს: საძირკვლის კონსტრუქციად შეიძლება მიღებული იქნას, როგორც წერტილოვანი, ასევე ფილა. კონსტრუქციის, ჩაღრმავებას და ზომებს განსაზღვრავს კონსტრუქტორი. გრუნტის ქიმიური კვლევების მიხედვით ძლიერ დამარილიანებულია სულფატური მარილებით და ახასიათებს ძლიერი აგრესიულობა პორტლანდცემენტის და სულფატმედეგი მარკის ბეტონების მიმართ; თიხნარი გრუნტების გავრცელების გამო უნდა მოვერიდოთ

თხრილების ღიად დატოვებას ხანგრძლივად, რადგან ამ გრუნტების დასველების შემთხვევაში მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მნიშვნელოვნად ქვეითდება; ფუნდამენტში წყლის ჩაჟონვის თავიდან აცილების მიზნით უნდა მოხდეს ნაგებობის მთელ პერიმეტრზე წყალსარინების მოწყობა. ქვაბული ფერდობის ქანობი მიღებული იქნეს სნ და წ 3. 02. 01-87 3.11; 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნების შესაბამისად.

გრუნტის დამუშავების სიძნელის სნ და წ. IV-5-82-ის მიხედვით: თიხნარი გრუნტი მიეკუთვნება დამუშავების სამივე ხერხით III კატეგორიას; ტექნოგენური გრუნტი დამუშავების სამივე ხერხით III კატეგორიას.

ანგარიშის ტექსტური ნაწილი შესაბამისობაშია ლაბორატორიული კვლევების და გრაფიკული ნაწილის მასალებთან.

ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) ს/კ № 01.19.26.009.047 საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგების მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დანართი – საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) (ს/კ 01.19.26.009.047) საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის ანგარიში შესაბამისობაშია მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: /ნ. არეშიძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი,

პროფესორი: /მ. წიქარიშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი/

ი/მ „ალექსანდრე ფეიქრიშვილი“

ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) ს/კ № 01.19.26.009.048 საქართველოს ფოსტის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო – გეოლოგიური კვლევების ანგარიში (დასკვნა).

თბილისი

2025

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება---------- ---- 3
2. I შესავალი და კვლევის პროგრამა ---------- 4
3. II გეოგარემოს ზოგადი დახიასეთება ---------- - 4
4. II.1 ადგილმდებარეობა ---------- 4
5. II. 2 კლიმატი ---------- ---------- - 5
6. II.3 გეომორფოლოგია ---------- - 5
7. III ზოგადი გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია ---- 5
8. III.1 ტექტონიკა და გეოლოგიური აგებულება---------- 5
9. III. 2 სეისმურობა ----------6
10. III. 2 ჰიდროგეოლოგია---------- - -6
11. IV. სპეციალური ნაწილი---------- 7
12. IV.1 შენობის დაფუძნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 7
13. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 8

ტექსტური და გრაფიკული დანართი

1. აეროფოტო 1 ფურცელი
2. ტოპოგეგმა 1 ფურცელი
3. შურფების ლითოლოგიური ჭრილი 3 ფურცელი
4. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი 1 ფურცელი
5. მსხვილნატეხოვანი გრუნტის გრანულომეტრიული ცხრილი 1 ფურცელი
6. გრუნტის ქიმიური კვლევა 3 ფურცელი
7. გეოლოგიური ჭრილი 1 ფურცელი
8. ილუს-ბი 3 ფურცელი

ტექნიკური დავალება

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

დამკვეთი – შპს „საქართველოს ფოსტა“ ს/კ №203836233;

შემსრულებელი – ინდ. მეწარმე „ალექსანდრე ფეიქრიშვილი“ ს/კ № 31001007751

ობიექტის მდებარეობა: ქ. თბილისი, აეროპორტი (ნაკვეთი 009/003).ს/კ № №01.19.26.009.048);

ობიექტის დასახელება– ფოსტის ერთსართულიანი შენობა, ნაწილობრივ, ნახევარი სარდაფით, ზომით 65 x 40 მ;

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - მესამე;

მშენებლობის სტადია - ახალი მშენებლობა;

დაპროექტების სტადია - მუშა პროექტი;

ნაგებობის ტიპი – კარკასული ბლოკის შევსებით;

საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება - დადგინდება კვლევების შემდეგ;

შესასრულებელი სამუშაო – გეოლოგიური კვლევის ჩატარება საინჟინრო–გეოლოგიური პირობების შეფასების და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის და სახსტანდარტის შესაბამისად;

სამუშაოს შესრულების ვადა – ხელშეკულების შესაბამისად.

შესრულებული კვლევების ტექნიკური ანგარიში წარმოდგენილი იქნას აკინძული ერთ ეგზემპლიარად. ელექტროვესიით

დავალება გასცა

არქიტექტორი / თ. დვალი /

05.08.2025წ.

I. შესავალი და კვლევების პროგრამა

წინამდებარე დასკვნა წარმოადგენს დამკვეთის ტექნიკური დავალების და სინჟინრო – გეოლოგიური კვლევების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგს. საველე, კამერალური დამუშავება და ანგარიშის მომზადება განახორციელეს 2025 წლის აგვისტოში ინჟ. გეოლოგმა ო. ხიზანიშვილმა და სტაჟიორ გეოლოგმა რ. ფეიქრიშვილმა.

ტექნიკური დავალების მიხედვით საინჟინრო – გეოლოგიური გამოკვლევების მიზანს წარმოადგენს საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო – გეოლოგიური პირობების დადგენა და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის შესწავლა.
საშენებლო ნორმების და წესების (ს.ნ. და წ. 1.02.07.87 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მოთხოვნის შესაბამისად შესრულდა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

1. მოხდა საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა;
2. მოძიებული იქნა და დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა;
3. აქ გავრცელებული გრუნტების ლითოლოგიური ჭრილის და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით, თვითმავალი ექსკავატორის (JSB) საშულებით ამოღებული იქნა სამი შურფი საერთო სიღრმით 15გრძ.მ, შურფები აღწერის და ნიმუშების აღების შემდეგ ამოვსებული იქნა ამონაღები გრუნტით.;
4. აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის ერთი. ქიმიურ კვლევაზე ერთი და დარღვევული სტრუქტურის სამი ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა სათანადო კვლევები;
5. გრუნტის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს „გეოინი“-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში ნ. ხმელიძის ხელმძღვანელობით. გრუნტის ქიმიური კვლევა ჩატარდა შპს „წყალი და გრუნტი“-ს ლაბორატორიაში მ. მარდაშოვას ხელმძღვანელობით. კენჭნარი გრუნტის გრანულომეტრია განისაზღვრა ჩვენს მიერ საცრული მეთოდით;;
6. ჭაბურღილის მდებარეობა, ადგილობრივ ორიენტირებთან, დატანილია დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპოგეგმაზე;
7. საველე, ლაბორატორიული და ფონდური მასალების დამუშავების შედეგად შედგა აღნიშნული საინჟინრო – გეოლოგიური დასკვნა;

II გეოგარემოს ზოგადი დახასიათება

II 1. ადგილმდებარეობა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში აეროპორტი (ნაკვეთი 009/003) მიწის ნაკვეთის ს/კ № 01.19.26.009.048) სამშენებლო მოედნის მიახლოებითი ცენტრის კორდინატებია: X=497335 და Y=4613001. აბსოლუტური სიმაღლე 476,4 – 479,3 მ-ის ფარგლებში მერყეობს. შემოსაზღვრულია დასავლეთიდან რკინიგზის ლიანდაგით და მისი მიმდებარე ასფალტსაფიანი საავტომობილო გზით, დანარჩენი მხრიდან, საკუთრებაში არსებული თავისუფალი ნაკვეთებით.

II 2. კლიმატი

